GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 81
თარიღი: 20 03 2014 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 5 14 00150843

17/03/2014

„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"-ს
(GRASS) დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
მის: თბილისი, რაზმაძის ქ. №15

ბატონო სერგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 2014 წლის 6 მარტის №195 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №135770, 10.03.2014) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, რომ საჯარო სკოლის დირექტორების ბოლო შესარჩევი კონკურსი დაიწყო 2013 წლის 25 ივლისს და დასრულდა 2013 წლის 26 დეკემბერს. დირექტორთა სერტიფიცირების ეტაპი მოიცავდა ტესტირებასა და გასაუბრებას საქათველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შედგენილ კომისიასთან. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 3107-მა კანდიდატმა, საიდანაც ტესტირების დადგენილი ბარიერი გადალახა 1617-მა, ხოლო მთლიანად სერტიფიცირების ეტაპი გადალახა 981-მა კანდიდატმა, მათ შორის არიან ისინიც, ვინც ტესტირება 2012 წელს გაიარეს.

დირექტორთა შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების განმეორებითი ეტაპი უკვე დაწყებულია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნული კონკურსის დასრულებას და საჯარო სკოლების სერტიფიცირებული დირექტორებით სრულად დაკომპლექტებას გეგმავს მიმდინარე წლის ბოლოსათვის, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება სერტიფიცირებული დირექტორების თაობაზე ინფორმაციის საბოლოოდ დამუშავება (ინფორმაცია საჯარო სკოლების ოდენობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სამინისტროს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვებგვერდზე - http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=109).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გაცნობებთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ამავე კოდექსის 47-ე მუხლის რეგულაციებით დადგენილ ღონისძიებებს.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 31 89 40

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ირაკლი კოპალიანი